ARDI

როცა ფიქრობ
მხოლოდ კარგზე

ავტომობილის საკრედიტო დაზღვევა

მსესხებლის საინფორმაციო ფურცელი

ProCredit Bank
Georgia

WWW.ARDI.GE

T. 210 10 10

ჩვენი სადაზღვევო პორტფელის ზრდის დინამიკა



დაბალანსებული სადაზღვევო პორტფელი

2023 წლის მონაცემებით



ალექსანდრე კალანტაროვი
ქირურგი

"არდიში მყავს პირადი მენეჯერი, რომელიც 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომია და რომელიც ყოველთვის მზად არის ჩემს დასახმარებლად."

თაკო კაკანაძე

"კომპანია, რომელმაც ბევრჯერ დამიმტკიცა, რომ საუკეთესოა ამ სფეროში. დახმარება თუ გჭირდება თან გყვებიან.
არდი რომ არა, დიდი ხნის გადასაგდები იქნებოდა ჩემი მანქანა."

ირაკლი შაიშმელაშვილი
მაიორი

"არდის სახელი, ასოცირდება სასიამოვნო ურთიერთობებთან, ქველმოქმედებასთან, სიმშვიდესთან და პროფესიონალიზმთან."

ტატა მესხი

"მე საქართველოში რამდენიმე სადაზღვევო ვცადე. მხოლოდ არდი აღმოჩნდა კომპანია, რომელმაც ჩემი ძვირადღირებული მანქანის შეკეთების ხარჯები სრულად ამინაზღაურა ყოველგვარი გაპრობლემების გარეშე. საუკეთესო სერვისი აქვთ ჩემი გამოცდილებით ♥"

გიორგი კეკელიძე
პოეტი, პუბლიცისტი

"არდი ფასდაუდებელ საქმეს აკეთებს. რაც მთავარია კომფორტულად, პრობლემების და სირთულეების გარეშე."

ალექსანდრე ნიქაბაძე

"ქოლ-ცენტრის მომსახურება ძალიან მომწონს იმდენად სწრაფად მემსახურებიან, მათთან დასრულებული არ მაქვს საუბარი მენეჯერი უკვე მიკავშირდება ხოლმე. უმაღლეს შეფასებას გიწერთ."

სპეციალური დაფარვები

მზღვეველის სრული დასახელება

- სს „არდი დაზღვევა“ (ს/კ: 404858631)

დაზღვევის ხელშეკრულების სახე

- ფიზიკური ან იურიდიული პირის სესხის უზრუნველყოფაში არსებული მოძრავი ქონების (ავტომობილის) საკრედიტო დაზღვევა

დაზღვევის ობიექტ(ებ)ი:

- მსუბუქი ან მაღალი ავტომობილი ახალი ან მეორადი (არაუმეტეს 5 წლის), უპირატესად ელექტრომობილი - EV

დაზღვეული მაჟორული რისკები

- ავტოსაგზაო შემთხვევა უფლებამოსილი მძღოლის არაუხეში ბრალით
- ავტოსაგზაო შემთხვევა უფლებამოსილი მძღოლის ბრალის გარეშე
- წყალდიდობა
- შტორმი
- ქარიშხალი
- სეტყვა, მეწყერი
- მეწყერი/ზვავი/თოვლის სიმძიმე/ ქვების ვარდნა
- მიწისძვრა
- გარე მინების მსხვრევა (სტიქიის ან ავტოსაგზაო შემთხვევის (ავარიის) შედეგად)

ზიანის კლასიფიკაცია

- ავტომობილის ნაწილობრივი დაზიანება - 70% ან ნაკლები
- ავტომობილის სრული დაზიანება/განადგურება - 70% და მეტი

სადაზღვევო თანხის განსაზღვრა

- ავტომობილის სადაზღვევო თანხა განისაზღვრება საინვოისე ღირებულებით ახალი ავტომობილის შემთხვევაში, ხოლო მეორადი ავტომობილის დაზღვევისას საბაზრო ღირებულებით, რომელსაც ადგენს ბანკის შემფასებელი;

სადაზღვევო გამონაკლისები

ანუ რა შემთხვევებს არ დაფარავს თქვენი სადაზღვევო პოლისი?

1. თუ შესაბამისი რისკი (შემთხვევა) პოლისით დაზღვეული არაა ან შესაბამისი ლიმიტი გახარჯულია;
2. მართვა არაუფლებამოსილი მძღოლის მიერ;
3. მართვა ნარკოტიკული, ალკოჰოლური, ტოქსიკური, ფსიქოტროპული ან ამ ანალოგის ნივთიერების ზემოქმედების ქვეშ;
4. ტექგაუმართაობა/ცვეთა (მ.შ.: თოვლიანი/ყინულიანი ზედაპირის შეუსაბამო საბურავით მართვა);
5. ელექტროსისტემის გაუმართაობა, რაც უკავშირდება ა/მ-ის დაზღვევამდე დაზიანებას/ჩაძირვას;
6. ძრავის ჰიდროდარტყმა (გარდა სტიქიის პირობებში, როდესაც სტიქია დაზღვეულია);
7. ა/მ-ის მზღვეველთან შეუთანხმებელი დანიშნულებით ან უჩვეულოდ დატვირთული ექსპლუატაცია: ზენორმატიულად დატვირთვა, არაგაბარიტული (მსხვილგაბარიტიანი) ტვირთით გადაადგილება, ტაქსი, სასწრაფო დახმარება, სასწავლო, სასპორტო, ექსტრემალური (რალი, ოფროუდი, დრიფტი, ექსპერიმენტული, კომერციული მიზნები) და ა.შ.;
8. ა/მ-ით ფეთქებადი/აალებადი ნივთიერების უსაფრთხოების წესის დარღვევით გადაზიდვა;
9. ა/მ-ის ტვირთის სახით გადაზიდვა, დატვირთვა-გადმოტვირთვა, მაბუქსირებლად გამოყენება;
10. ცალკეული შიდა ნაწილის/სისტემის დაზიანება სარემონტო (სადიაგნოსტიკო) მომსახურებისას სახელოსნოს (ხელოსნის) ბრალით;
11. განზრახ დაზიანება; ავარია უ/მძღოლის მიერ ნორმების შემდეგი ტიპის უხეში დარღვევით: რკინიგზის გადასასვლელზე მობრუნება ან გასვლა, როცა შლაგბაუმი დაკეტილია ან იკეტება; დგომა-გაჩერება რელსზე, გვირაბში, ხიდზე ან ესტაკადაზე მოსახვევში (იძულებითი გაჩერების გარდა); მოძრაობის საწინააღმდეგო მიმართულებით სვლა (ყველა საბურავით); გასწრება უწყვეტი ხაზის გადაკვეთით გვირაბში ან ხიდზე, გასწრებაზე გასული ავტომობილისა, გზიდან გადასვლით, სიჩქარის გადაჭარბებით (თუ პოლისით სხვა რამ არ განისაზღვრა). დარღვევა არ ჩაითვლება უხეშად, თუ ის გამოწვეულია საკუთარი ან სხვისი სიცოცხლის გადარჩენის მიზნით ან გადაულახავი წინაღობის თავის არიდების ობიექტური გარემოებით;
12. საბურავის, დისკის, დისკის საფარის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა;
13. დამატებითი შიდა მოდიფიკაციის ქურდობა, ძარცვა, ყაჩაღობა, თუ პოლისით სხვა რამ არ განისაზღვრება;
14. არასტანდარტული მოდიფიკაცია-აღჭურვილობის დაზიანება, რაც განაცხადში მითითებული არ იყო (სახის, დანიშნულებისა და ღირებულების ჩვენებით);
15. გზაზე მოძრაობისას სავალი ნაწილის, საბურავის, დისკის, დისკის საფარის დაზიანება ან დაკარგვა (მაგ.: ორმოში ჩავარდნა, საგანზე გადავლა და სხვ.), რომელსაც ავარია არ მოჰყოლია. თუმცა ანაზღაურდება (საბურავის გარდა), თუ ეს მოხდა გზის ასფალტირებული საფარის მკვეთრად გამოხატული დაბინძურების ან დაბრკოლების შედეგად;
16. პირადი ნივთის და შიდა მოდიფიკაციის ზიანი, თუ დოკუმენტურად ვერ დგინდება ზიანის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი ავარიასთან;
17. თუ შემთხვევა (ზიანი) მოხდა პოლისის გაუქმების შემდეგ.

Aldagi **სადაზღვევო გამონაკლისები**

დამატებითი გამონაკლისები მესამე პირების მიმართ პასუხისგებლობის დაზღვევის (MTPL) ან მძღოლის/მგზავრების დაზღვევისას (MA) :

გაითვალისწინეთ, რომ ანაზღაურებას არ დაექვემდებარება:

- × მედიკამენტი/მკურნალობა, თუ არ დასტურდება მისი საჭიროება (ექიმის დანიშნულება);
- × არალიცენზირებულ სამედიცინო დაწესებულებაში ან შესაბამისი სამედიცინო საქმიანობის უფლების არმქონე პირისგან მიღებული მომსახურება;
- × არატრადიციული მედიცინა; მასაჟი; კოსმეტიკური, პლასტიკური სამედიცინო მომსახურება;
- × ჰიგიენური და კოსმეტიკური საშუალებები;
- × სანატორიულ-საკურორტო, სარეაბილიტაციო მომსახურება;
- × დამხმარე მოწყობილობა (სათვალე, სმენის აპარატი და ა.შ.);
- × ფსიქოთერაპია;
- × განსაკუთრებული პალატის (ლუქსი, ვიპ და ა.შ.) ღირებულება.

როგორ უნდა მოვიქცეთ სადაზღვევო შემთხვევის დროს?

> დაზღვეულმა მზღვეველს 24/7 ცხელი ხაზის - **032 2101010** მეშვეობით უნდა შეატყობინოს სადაზღვევო შემთხვევიდან პირველი შესაძლებლობისთანავე და დაუყოვნებლივ უნდა მიმართოს შესაბამის ორგანოებს (პატრულს) მომხდარი ფაქტის დაფიქსირების მიზნით, ხოლო - შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში, მაგრამ **არა უგვიანეს 1 თვისა** უნდა წარუდგინოს ზიანის განაცხადი, რომელიც სადაზღვევო ანაზღაურების გაცემის განხილვის საფუძველია. მზღვეველი თავისუფლდება ვალდებულებისაგან, თუ იგი აღნიშნულ ვადაში არ მიიღებს შეტყობინებას.

> **მზღვეველს უნდა წარუდგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია:**

1. ავტომობილის ზიანის ელექტრონული განაცხადი (ფორმა MHL – B3);
2. დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომის მომენტისათვის დაზიანებული ავტომობილის საკუთრების (ფლობის, სარგებლობის) უფლებას;
3. შესაბამისი სახელმწიფო ორგანო(ებ)ის მიერ გაცემული ცნობები, რომლებიც ადასტურებს სადაზღვევო შემთხვევის დადგომას, მის მიზეზებსა და მასთან დაკავშირებულ სხვა გარემოებებს, აგრეთვე ზიანის სახესა და ოდენობას (არსებობის შემთხვევაში).

შენიშვნა

გთხოვთ, გაითვალიწინოთ, რომ წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს არაამომწურავ ინფორმაციას დაზღვევის პირობების შესახებ. იგი არ არის დაზღვევის ხელშეკრულების იდენტური იურიდიული ძალის მქონე. ამასთან, მისი გაცნობა და ჩვენი მხრიდან განმარტებების გაკეთება არ წარმოშობს სამართლებრივ შედეგებს და შესაბამისად, მოთხოვნებს მხარეთა შორის.

ARDI
როცა ფიქრობ
მხოლოდ კარგზე
საკონტაქტო
ინფორმაცია
სათავო ოფისი:
ვაჟა-ფშაველას გამზ. 3, თბილისი
ელ.ფოსტა: OFFICE@ARDI.GE
WWW.ARDI.GE
სოციალური ქსელი:
ARDIINSURANCE
ARDI-INSURANCE
ARDIINSURANCE
ARDIINSURANCE